თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6075427

ნომერი: AR1911880

თარიღი : 12.07.2022

გაცემის თარიღი : 10.08.2022

გაცნობის თარიღი : 10.08.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზარწემის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მილენა ცუცქირიძე პ/ნ 01001090860
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VI მიკრო/რაიონი, კორპუსი 7, ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 12 ივლისს №AR1911880 განცხადებით მომართა მილენა ცუცქირიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 18

მარტის №5298124 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და თითოეული ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების ცალ-ცალკე დაფიქსირება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებით ქ. თბილისში, ლისის ტბის სამხ. ტერიტორიაზე, ნუცუბიძის განაშენიანებული ტერიტორიის მიმდებარედ (ს/კ: №01.14.16.009.146, ფართობი: 1882.00 კვ.მ.) შეთანხმდა სამი ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 2 ივლისის №5483320 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 2 ივლისიდან 2023 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 22 თებერვლის №5817010 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 2 ივლისის №5483320 ბრძანებაში დამკვეთის მითითების ნაწილში.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ბრძანებაში, თითოეული საპროექტო ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022082440, მომზადების თარიღი: 04/02/2022წ.) თანახმად №01.14.16.009.146 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ლე მონდე” (ს/ნ: 406294308). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22083030, მომზადების თარიღი: 05/07/2022 წ.) თანახმად, შპს „ლე მონდე”-ს (ს/ნ: 406294308) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავითი მონასელიძე (პ/ნ: 01024085388). 2022 წლის 28 ივნისის №AR1909377 განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ლე მონდე”-ს (ს/ნ: 406294308) დირექტორის დავითი მონასელიძის მიერ მილენა ცუცქირიძის სახელზე გაცემული 2022 წლის 19 ივლისის მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს:
„სახლი 1“:
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 1882.0
- საერთო ფართობი (კვ.მ): 583.3
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 459.9
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 52.0
- სარდაფის ფართობი (კვ.მ): 71.4
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 2120.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 2000.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 120.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 11.8
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 11.5
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 0.3
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 202.2 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 388.5 კვ.მ.

„სახლი 2“:
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 1882.0
- საერთო ფართობი (კვ.მ): 566.6
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 452.6
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 50.0

- სარდაფის ფართობი (კვ.მ): 64.0
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 2015.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 1900.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 115.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 11.8
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 11.5
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 0.3
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 201.0 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 387.9 კვ.მ.

„სახლი 3“:

- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ): 1882.0
- საერთო ფართობი (კვ.მ): 583.3
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 459.9
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ): 52.0
- სარდაფის ფართობი (კვ.მ): 71.4
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ): 2120.0
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ): 2000.0
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ): 120.0
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ): 11.8
- 0.00 ნიშნულის ზევით (მ): 11.5
- 0.00 ნიშნულის ქვევით (მ): 0.3
- კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 202.2 კვ.მ.
- კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: 388.5 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი: 605.4 კვ.მ., „სახლი 1“, „სახლი 2“ და „სახლი 3“-ის კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 605.4 კვ.მ. / 1882.0 კვ.მ. = 0.3, კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 1164.9 კვ.მ. /1882.0 კვ.მ. = 0.6, კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში): 964.3 კვ.მ /1882.0 კვ.მ = 0.5

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 18 მარტის №5298124 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.